გაუქმებული მატჩი
საბჭოთა კავშირის პირველობაზე

გუშინ, 10 მაისს, ერევნის “დინამოს” სტადიონზე ჩატარდა მორიგი კალენდარული მატჩი ფეხბურთში 1948 წლის პირველობაზე. ერთმანეთს შეხვდნენ ერევნისა და თბილისის “დინამოს” ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები.

თბილისელებმა პირველ წუთებშივე იერიშები მიიტანეს ერევნელთა კარზე. თბილისელ თავდამსხმელთა შორის მოსაზრებული თამაშით გამოირჩეოდა ახალგაზრდა ფეხბურთელი ზაზროშვილი. მე–13 წუთზე ანთაძის მიერ კორნერიდან მიწოდებული ბურთი კარგად გამოიყენა ღოღობერიძემ და ანგარიში გახსნა. თბილისელთა იერიშები გახშირდა. ზედიზედ კარში ზუსტად დარტყმულ ბურთებს შესანიშნავად იგერიებდა ერევნელთა მეკარე კელენჯიანი. პირველ ტაიმში ანგარიში აღარ შეცვლილა.

თამაშის მეორე ნახევრის დასაწყისშივე თბილისელები სწრაფად მიიჭრნენ ერევნის “დინამოს” კართან და ერთ–ერთ კრიტიკულ მომენტში მცველმა გავლახიანმა თავისსავე კარში მეორე ბურთი გაიტანა. 30–ე წუთზე გაიოზ ჯეჯელავამ ცენტრიდან წაღებული ბურთით შესძლო გვერდი აევლო ერევნელთა რამდენიმე მცველისათვის და მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა გაიტანა მესამე ბურთი. მატჩი მოიგეს თბილისელებმა ანგარიშით 3:0.

მორიგ შეხვედრას თბილისის ”დინამო” ჩაატარებს თავის მოედანზე 15 მაისს მოსკოვის “კრილია სოვეტოვის” გუნდთან.

“კომუნისტი”, 11 მაისი, 1948 წ.